12/03/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება შენდობის დღეს

სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა

ამინ!

ჩვენ დღეს ვდგავართ წინაშე ღვთისა განშიშვლებულნი ცოდვებითა, უსჯულოებითა, ბოროტი სიტყვიერებითა და ვთხოვთ უფალს შენდობას შეცოდებათა ჩვენთა.

არა არარს კაცი, რომელიც ცოცხლობდეს, ცხონდეს და არა სცოდოს. შენ მხოლო ხარ უცოდველი, უფალო, შენი ვარ, მაცხოვნე მე.

დღეს ღრმად უნდა ჩავხედოთ ჩვენს გულს, ჩვენს გონებას, ჩვენს სულს და დავინახოთ, ვინ ვართ ჩვენ.

ადამიანმა უნდა დაინახოს თავისი ცოდვა. ,,ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაჲ თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა.” უფალი უხილავად დგას დღეს წინაშე ჩვენსა და ისმენს ჩვენს აღსარებას.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალმა, რომელმაც შექმნა ადამიანი, ის გვაძლევს

მადლსა და ძალასა, რათა ვებრძოლოთ ცცოდვას.

მე ცოდვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ორმოცი წლის მანძილზე ვარ სულიერი მწყემსი ქართველი ერისა. მე ბევრი რამ შემშლია, ბევრი ცოდვა ჩამიდენია და ამ წმინდა დღეს, შენდობის დღეს, მე ვთხოვ ჩვენს ერს და სრულიად საქართველოს შენდობას და მოტევებას ცოდვათა ჩემთა.

მე მივმართავ ყოველ თქვენგანს, დაინახეთ ცოდვები თქვენი, სთხოვეთ უფალს შენდობა. შენდობას აძლევს უფალი მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც განიცდის თავის ცოდვას.

განსაკუთრებით მე მივმართავ ახალგაზრდობას: ნუ გაიმეტებთ თქვენს მეგობრებს, ნუ შეურაცხყოფთ ამხანაგებს. აპატიეთ შეცოდებანი მათნი.

უფალო ძალთაო, ჩვენთანა იყავ, უფალო ძალთაო შეგვიწყალენ ჩვენ.

ღმერთო წმინდაო, მამაო, ძეო და სულო წმინდაო, ხსნილ ჰყავ ცოდვებისაგან სრულიად საქართველო და მე ცოდვილი.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ!

აქ არიან მობრზანებულნი სტუდენტები როგორც თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, ასევე სტუდენტები ქუთაისიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და გორიდან; ღმერთმა დალოცოს და გაახაროს ისინი.

ჩვენ გვაქვს გაკეთებული ამონარიდი დავით აღმაშენებლის სინანულის საგალობლებიდან. მეუფე დანიელი წაიკითხავს ამას და თითოეულმა განვიცადოთ ეს სიტყვები, როგორც საკუთარი.

რომლისაცა წინაშე

ქედ-დადრეკილ არს ყოველი,

მუჴლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი

შენსა

ჴმობს აღსარებასა,

მეცა, სიტყუაო,

აღმსარებელსა მომხედენ!

ამისთჳს იყო ქალწული

და ჴორც-ქმნაჲ სიტყჵსაჲ, რაჲთა

დედობრივთა ოხათა მიერ

ცხოვნდნენ ცოდვილნი,

რომელთა პირველი,

საშუალი და დასასრული,

მე ვარ, ვითარცა უფსკრული,

შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ!

და აწ, მომდრეკელი მუჴლთა გულისათაჲ

ვჴმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე,

მილხინე, Ჶ მეუფეო, მილხინე

და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,

და ნუ იჴსენებ ძჳრთა ჩემთა,

და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,

რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,

ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან!

ჟამი რაჲ წულილთა და ჴმელთა აღმოფშჳნვათაჲ წარმოდგეს,

ზარი მეფობისაჲ წარჴდეს და დიდებაჲ დაშრტეს,

შუებაჲ უქმ იქმნნენ,

ყუავილოვნებაჲ დაჭნეს,

სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ,

სხუასა შეუდგენ სპანი,

მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა

და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,

მსაჯული მართლ სჯიდე,

მსახურთა რისხვაჲ ქროდის,

მართალნი ნეტარებდენ,

ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,

მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თჳნიერ შენსა,

არცა ჩემოდენ ბრალეულსა – ნათელი მისი,

გარნა მე შენითა

ოხითა, დედოფალო,

ვესავ ხილვად ნათელსა

ძისა შენისასა

და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!

დიდი მარხვის პირველი კვირის 4 დღეს იკითხება ანდრია კრიტელის სინანულის კანონი.

ორშაბათს, 11 მარტს, 18:00-ზე ანდრია კრიტელის საგალობლები წაიკითხება სამების საკათედრო ტაძარში;

სამშაბათს, 12 მარტს, 18:00-ზე სიონის საკათედრო ტაძარში;

ოთხშაბათს, 13 მარტს, 18:00-ზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში;

ხუთშაბათს, 14 მარტს, 18:00-ზე სამთავროს ფერიცვალების სახელობის ტაძარში.

http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9
%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9
%E1%83%99%E1%83%90%E1%83%97-21/